

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.  
შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15 — 4.  
მოველით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 14


1883—1899

30 ივლისი

## იმერეთის ეპარქია. ბაბრ. სასწ. საბჭოსაგან.

იმერეთის ეპარქიის სასწავლებლის რჩევა ამით აცხადებს, რომ მოსწავლეები ზიარევი გურსის მოსამზადებელი კლასისა: 1) დეკდარაიანი მალიკა; 2) გავაშე-ლაშვილი ალ.; 3) შებურიშვილი ნინა; 4) ჯინჯისაძე ფოტინა; 5) ბარბაქაძე ნინა; 6) ჩახანავა ევგენია; 7) ტოგონაძე ნადეჟდა და შეხუთე კლასისა: 1) თახნულიძე ფოტინა; 2) ჩაგანიძე ალ.; 3) რობაქაძე ევსევია; 4) თეოდორაძე ვერა; 5) ბაღანჩივაძე ნინა; 6) კიკნაძე-შვილი სოფია; 7) ქუთათელიძე ელისაბედ; 8) გაღდავა შუშნიკა; 9) ქიქოძე ელენა; 10) მატარაძე ეკატერინა; 11) იაშვილი მართა და 12) უღენტო ნეონილა და რეინილი არიან განმეორებით გურსებზე იმავე კლასებში, განაიდგან სამკლასიანი ეს სასწავლებელი ყურნალური დადგენილებისამებრ, დამტკიცებულის 19 ივლ. ამა წ. № 8, იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის, ექვს-კლასიანად აქმნა გადაკეთებულად.

სიბრძნე, მისი საჭიროება ზნეობრივი განათლებისათვის, მისი ხასიათი და მისი განვითარების საშუალებანი.



დასასრული \*).

ეორედ, სხვა-და-სხვა შინაარსის წიგნების კითხვით. პოეტურ თხზულებებში მკითხველი ხედავს, თუ როგორ იშლება, იზრდება კაცის ხასიათი, როგორ იზრდება რომელიმე სურვილი მის სულში, მტკიცდება და აღეფეხება მას, რა პირობები და გარემოებანი აბრკოლებენ და ხშვენ კაცის კეთილმოზილურ მისწრაფებათა, ხოლო ბიწიერ დამლუბველ

\*) იხ. „მწყემსი“ № 13, 1899. წ.





მიდრეკილებათა და წადილთა აძლიერებენ; როგორ ემონება ადამიანი ბოროტებასა, რა ზომამდის აზნელებს ვნება კაცის გონებას და ტყვედ ქმნის მას. ისტორიულ თხზულებებში მკითხველი დაინახავს, როგორ იწყებოდა და, თანდათან მატულობდა, სისრულეში მოდიოდა, და რითი ბოლოვდებოდა რომელიმე ისტორიული იდეია, რა გარემოებანი და შემთხვევანი წინაუსწრებდნენ რომელიმე მოვლენასა, და რა შედეგი ყვებოდა მას, როგორ მოქმედებოდა და განკარგულებათა რა ნაყოფი მოქონდათ, და რა უწყობდა ხელს ერის წინმსვლელობას, და რა შხამვიდა კაცობრიობის სიცოცხლესა. ამნაირი გამოძიება კაცს გონებას უმახვილებს. მეცნიერულ და ფილოსოფიურ წიგნების კითხვა აჩვევს გონებას სისწორით და ღრმად დაკვირვებასა, გულ-მოდგინედ და გაფრთხილებით გამოკვლევასა, ნამდვილ ნათლოვან მსჯელობასა. უნდა შეენიშნოთ, რომ წიგნების კითხვა მაშინ იქნება სასარგებლო ადამიანისთვის, თუ იგი წიგნების კითხვაში გამოცდილ წესს და რიგს მიყვება. მან წიგნები უნდა იკითხოს შესაფერად თვის წლოვანებისა და განვითარებისა. პირველად მან უნდა წაიკითხოს ადვილ გასაგები წიგნები და მერმე კი თან და თანობით უნდა გადავიდეს ძნელ გასაგებ წიგნებზედაც. თუ იგი ასე არ მოიქცა და პირდაპირ მაღალ შინაარსის წიგნების კითხვა დაიწყოს, მაშინ მისი წიგნების კითხვა სრულიად ფუჭი იქნება. ღრმა შინაარსის წიგნების წაკითხვისათვის მკითხველის სულში მომზადებული უნდა იქნეს შესაფერი ნიადაგი, ხოლო ეს ნიადაგი მომზადდება ადვილ გასაგებ წიგნების კითხვითა. ადამიანი არ უნდა იყოს მანდაზინც დარწმუნებული, რომ იგი ძალიან ნიჭიერი და განვითარებულია, და მას არ გაუძნელდება მაღალ შინაარსის თხზულებების გაგება. როცა ადამიანი ღრმა შინაარსის წიგნებს უდროოდ კითხულობს, მაშინ მასში იმ თხზულებებში გატარებული აზრები ვერ იდგამს ფეხს, ვერ ჩადის გონების სიღრმეში, მალე ბნელდება და იკარგება. იქნება მას შერჩეს რაოდენიმე აზრები, იმ წიგნიდამ ამოღებული, მაგრამ ისინიც საშინლად დამახინჯებულია, ნაწყვეტ-ნაწყვეტი და უსაფუძვლოა, შემდეგ, თვითოეული წიგნი ორ-ორჯერ უნდა იქნეს წაკითხული, პირველად ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და მეორედ მისის სისწორით შეთვისებისათვის. როცა კაცი პირველად კითხულობს

რომელიმე წიგნს, მაშინ იგი ჩქარობს, სურს მალე გაიგოს მისი შინაარსი, ამის გამო უმთავრესი ადგილები იმ წიგნისა ხშირად შეუმჩნეველი რჩება მისგან; და როცა იგი ამავე წიგნს მეორედ წაიკითხავს, მაშინ იგი უფრო ღრმად ჩაუკვირდება მის შინაარსსა, უფრო სინამდვილით გაიგებს მას. კაცი ბევრ წიგნების კითხვას კი არ უნდა ცდილობდეს; უკეთესია მან ცოტა წაიკითხოს, მაგრამ სრულის გაგებით. ადამიანმა წიგნებში გატარებული აზრები არ უნდა ჩათვალოს შეუცდომელ და შეურყვეველ აზრებად. არ უნდა მიიღოს ისინი განუსჯელად, არ უნდა ემონებოდეს მეცნიერ ავტორიტეტებსა, არამედ მათ კრიტიკულის თვლით უნდა შეხედოს, უნდა გამოიძიოს მათი სინამდვილე და საბუთიანობა. წიგნების კითხვა რომ უფრო სასარგებლო იქნეს, კარგი იქნება, რომ ერთად, შეერთებულ ძალით სჯიდნენ ამა თუ იმ თხზულების შესახებ; მაშინ ერთი-მეორეს გაუსწორებენ, ერთი მეორის მსჯელობის ნაკლულევანებებს აჩვენებენ და შეაგებენ. სასურველია, რომ ეს ჩვეულება სასწავლებლებში იქნეს შემოღებული. თვითოეულ კლასის მოწაფეებმა უნდა ამოირჩიონ კვირაში ერთი დღე, როცა მათ ცოტა გაკვეთილები ექნებათ მოსამზადებელი, ამ დროისთვის უნდა წაიკითხონ თვითოეულმა ცალ-ცალკე დასახელებული წიგნი, და დანიშნულ დღეს უნდა შეიკრიბონ ერთად და დაიწყონ მისი გარჩევა, მის ნაკლულევანების და ღირსების ჩვენება, მის აზრების განმარტება დასაბუთება. მთავრობა ამის წინააღმდეგი არ იქნება, რადგან შეგირდების სხდომებზე გაირჩევა მხოლოდ ნება-დართული წიგნები და მას შეუძლია თვითონვე დაესწროს ამ სხდომებზე და მოისმინოს, თუ რაზე ექნებათ ბაასი მოწაფეებს. ამას გარდა თვით მთავრობისათვის სასიხარულო უნდა იქნეს ასეთი მოვლენა, რადგან შეერთებულის ძალით კითხვა წიგნებისა მოსწავლეებს ღიდ სარგებლობას მოუტანს, გონებას გაუვარჯიშებს, გაუმხვილებს, ცოდნას შესძენს და შეგირდების წრეში სიცოცხლეს შეიტანს, რასაც სასწავლო საგნების შესწავლაზედაც კეთილი ზედ-გავლენა ექნება.

მესამედ, თხზულებების შედგენა. იმნაირი თხზულებების წერა როგორცაა შემოღებული არა მარტო მოსწავლეთა შორის არამედ საზოგადოდ ნასწავლთა შორის, სრულიად უსარგებლოა. გამოარჩევენ თუ არა რაიმე ტემას, მირბიან ბიბლიოთე-






ებში, სხრეკენ და შლიან წიგნებს, სძებნიან, თუ რაიმეა დაწერილი ტემაზე, და თუ ნა'ეს, უსინიდი-სოდ ამოქაფვენ, შეადგენენ ამ სხვა-და-სხვა წიგნე-ბიდან ამოგლეჯილ ადგილებიდან თხზულებას და საკუთარ შრომად ასახელებენ. რა სარგებლობა უნდა ქონდეს ასე უნამუსოდ, უსირცხვილ მოპა-რულ შრომას? მთელი შრომა ამ შემთხვევაში მდგო-მარეობს მარტო მეხანიკურ შეერთებაში სხვის მიერ დამზადებულ მასალებისა, სხვა გარეგან ფორმის მიცემაში მათთვის. ამიტომ მათს გონებას არასფერი არ ემატება. თხზულების წერა მაშინ იქნება სასარ-გებლო, როცა ადამიანი თვით გამოიკვლევს მის გონების წინ დაყენებულ საგანს, სხვისგან დამოუ-კიდებლად განმარტავს და ახსნის მას და დასწერს მასზე თვის გონებაშივე წარმოშობილ აზრებს. ამ შემთხვევაში გონება მართლა და მახვილდება, ძლი-ერდება, რადგან იგი ნამდვილად მუშაობს, თვით მოქმედობს, თვითონვე იკვლევს და ინათებს გზას. თხზულება საშუალო ხარისხისა, მაგრამ დამოუკი-დებლად დაწერილი შეუდარებლად მალეა სდგას თხზულებაზე უმაღლეს ხარისხისა, მაგრამ სხვის შრო-მიდან გადმოხატულზე. საჭიროა, ყმაწვილები სას-წავლებელშივე შეაჩვიონ თვით მოქმედებას, თხზუ-ლებების დამოუკიდებლად წერასა, რომ ეს ჩვეუ-ლება, ყმაწვილობაში შეთვისებული, შერჩესთ მათ სამუდამოდ. სასურველია კიდევ, რომ მოწაფეები გარდა სავალდებულო სასწავლო თხზულებათა, რომელნიც ხშირად მშრალნი და უშინაარსონი არიან და გონებას სრულიად არ ამოძრავებენ, თვითონ-ვე ამოირჩევენ რომელიმე საგნებსა და მათზე დას-წერდნენ თხზულებებსა, ამ თხზულებებიდან შეად-გენდნენ თთვიურ ჟურნალსა, და ამ ჟურნალს მთე-ლი სასწავლებელი კითხულობდეს. ასეთი შრომა მოსწავლეებს სწავლას არ მოაცდენს. ნუ თუ მთელ თთვეში შევირდს მოცლილი დრო არ ექნება, რომ ერთი თხზულება შეადგინოს. ანუ ასეც შეიძლება. მოწაფეებმა საშობო, სააღდგომო და საზაფხულო ვაკაციების დროს რამდენიმე თხზულებები დასწერონ და ამ თხზულებებს სწავლის წლის განმავლობაში თავთავის დროზე გამოუშვებდნენ. ხოლო ამ ჟურნა-ლების წაკითხვა ბევრს დროს არ წაართმევს მკით-ხველ შევირდებსა. ხომ მაინც ტყუილად კარგვენ მოწაფეები ბევრ ძვირფასს დროსა! ასეთ ჟურნალის გამოცემა სასწავლებელში საშიში სრულიადაც არ

იქნება, რადგან ამ ჟურნალების შედგენა იქნება მთავრობის ზედამხედველობის ქვეშე, და მოწაფეებს მისგან მიცემული ექნება პროგრამა, რომელსაც ისინი ვერ გადაუხვევენ. სარგებლობა კი ამისთანა ჟურნალების გამოცემიდან ცხადია: შევირდების გონება გაფხიზლდება, გაცხოველდება, რაიც სწავ-ლაზედაც კარგის მხრით დაეტყობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნების კითხვა და თხზულებების წერა მაშინაა მოსა-ონი და სასარგებ-ლო, როდესაც კითხვასთან და წერასთან ერთად გონება ნამდვილად აღიძრება, იწყებს თვითმოქმე-დებას, იღვსება და ნათლდება. მარტო დატვირთვა გონებისა სხვა-და-სხვა ცოდნითა, არამც თუ უნა-ყოფოა, არამედ მანებებელიცა, რადგან იგი კაცს, თავისუფალ არსებას, ართმევს მისს უმაღლესს ღირ-სებას—დამოუკიდებელ აზროვნებას, ხდის ვილაც მეცნიერთა ყურმოქრილ ყმად. ამიტომაცაა, რომ ახლანდელ დროში, თუმცა რიცხვი ნასწავლთა გამ-რავლდა, მაგრამ გონებრივი შემოქმედებითი ძალა კი სუსტდება, აზროვნება კრთება. ამ დროის ნას-წავლნი დამოუკიდებელ მსჯელობას გადაჩვეულნი არიან, თვით თვითსავე ძალით არა რას იკვლევენ; ისინი წარსულთა დროთა მეცნიერთა და მწერალთა მიმართვენ ხოლმე და მათის აზრების შეთვისებით კმაყოფილდებიან. ძველ დროში კი, როცა ნასწავ-ლნი ცოტანი იყვნენ და ბუნების და ცხოვრების სხვა-და-სხვა კითხვები და მოვლენანი კარგად გამო-კვლეული არ იყო, ღრმა გონება იძულებულ იყო თვითონვე ჩაფიქრებოდა ამა და იმ საგანს, ნათლად გამოერკვია და აეხსნა იგი, და ამნიირად იგი თვით-მოქმედებას, თვით აზროვნებას ეჩვეოდა და შექმნი-და შესანიშნავ ნაქნართა. ახლა კი ნასწავლ კაცის გონება, თვითმოქმედებას, დამოუკიდებელ მსჯელო-ბას უჩვეველი და მხოლოდ მრავალგვარ ცოდნით დამძიმებული, ვერ იჩენს ძალას და გამჭრიახობას არა მარტო აზროვნების სფერაში, არამედ ყოველ-გვარ საქმეშიაც, და კერძოდ, ზნეობრივ განუკეთე-სობის საქმეშიც. ასეთ გონების განვითარებისგან ღმერთმა დაიფაროს ჩვენი ახალ-გაზღობა.

კაჭხაიძე.





გ ლ ო ზ ა .

ძველთაგანვე სამას სამოც-და-ხუთი ტაძარი აგებულია საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზე, რომ წლის განმავლობაში, ყოველ დღე მოეხსენებია ქვეყანას და ედიდებია მისი დიდი-მფარველი, მთავარ-მოწამე.—დღეიდან ერთიცი-დედ უნდა მიემატოს და გახდეს სამას სამოც-და-ექვსი, ნაკის შესავსებად!.. ეს არის სურვილი, დღეს მოულოდნელად აღელვებულ საქართველო-სი, რომ მით გულის-ტკივილი შეიმუშებუქოს და უზომო მწუხარება ოდნათ მაინც მოიქარვოს!.. და რა მოვლენია ჩვენ მხარეს, რომ ასე აღშფოთებულა? მოსისხლე ლენგ-თემური ხომ არ მოსჩვენებია ხელ-ახლად? ან მზაკვარი შაჰბასი ხომ არ მოლანდებია? და ან მოლალატეებისაგან საქართველო-ს ასაოხრებლად წაქეზებული ხოჯა-ხანი ხომ არ გათვალისწინებია? არა!.. მაშინ ხომ გულ-გა-უტეხელი ქართველი, შეუპოვრობის ნიშნად, მრის-ხანებით ანთებულ თვალთაგან ნაპერწკლებს გამო-აფრქვევდა და დღეს კი ცრემლებსა ჰღვრის, ოხ-ვრით შენაკაზმს!—მგლოვიარედ დამჯდარა, მაგრამ ვისზე? საარაკო დავით აღმაშენებელი ხომ არ აგონდება? ან საოცარ თამარს ხომ არ იხსენიებს? და ან სასიქადულო გიორგი ბრწყინვალის სამა-რეს ხომ არ დაჰყურებს? არა! არა! და არა!!! დიდი ხანია ქართველთა მადლიერმა გულმა, სასო-ვებით ჩაისვენა გულში საშვილიშვილოდ მათი კუბო!...

დღეს სულ სხვა არის მიზეზი ქვეყნის აშფოთებისა: დაჰკარგა ის, ვინც დასაკარგავად არ ემეტებოდა!.. იგლოვს დიდს მთავარს მემკვი-დრე ცესარევიჩს, რომელიც გარემოებამ შემოა-ხიხნა საქართველოს და ვინც თვისი დიდ-ბუნებო-ვანება შეუფერად-შეუთანახმა საქართველოს დიად ბუნებას. სტირის მას, ვინც გაურჩევლად გვარტო-მობისა მიუღდგომლობის და სიმართლის სხივს აფენ-და, მით გულს უბრუნებდა და ნუგეშს აძლევდა დევნულ-ჩაგრულთა. ქრისტეს მიერ გულთამხი-ლაობით დაგვირგვინებულმა შეიყვარა ქვეყანა და მით შეაყვარა თავი ერს იმდენად, რომ თავის ა-ვად მოიპოვა წოდება საალერსო სახელისა: „ჩვენი გიორგი“. ამ სახელით შესთხოვდა საქართველო დღემდი მის დღეგრძელობას ყოვლის შემძლებელს და ამ სახელითვე დღეიდგან ოხვრით შესთხოვს მის საუკუნო განსვენებას. („ერებუდიდან“)

იმეპითის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტა-  
ტების საბანგებო კრებაჲ ქუთაისში მაისის 31  
ღ ივნისის 1 ლ 2 ჩიცხვებში

გაგრძელება \*)



არტო სიტყვიერი განმარტება არ იკმარეს კომიტეტის წევრებმა მღვდელთ ფ. ფხაკა-ძემ და სპ. ლეკვეიშვილმა, რომ იგინი ვითომ თავმჯდომარისაგან არ იყვნენ მიშვებულნი მათი მოვალეობის აღსასრულებლად და ამისათვის იგინი არაფერზე პასუხს არ აგებენ. იმათ დაწერილი განცხადება მიართვეს კრების თავმჯდო-მარეს. თავმჯდომარემ როგორღაც ვერ გაარჩია ნაწერი და თვითონ ლეკვეიშვილს სთხოვა წაკითხა ეს განცხადება. მამა ლეკვეიშვილმა წაკითხა. ამ წაკითხულ ქალაქში, სხვათა შორის, საყურადღებო რყო შემდეგი სიტყვები: „კომიტეტის თავმჯდომარე, სწორენ განცხადებაში ფხაკაძე და ლეკვეიშვილი, არა-ფერ საქმეზე ჩვენ არ გვისწრებდა. ჩვენ, მართალია, კომიტეტის წევრებად ვითვლებოდით, მაგრამ საქმის წარმოებას ჩვენ არავინ არ გვკითხავდა, სანთელს თავმჯდომარე ყიდულობდა ჩვენდა დაუსწრებლად და გაუგებლად და რამდენს აძლევდა ფუთში, ეს ჩვენ არ ვიცოდით. ხან-დის-ხან მოხდებოდა, რომ ჩვენ ორნი ვიყიდდით სანთელს კარგს და იათადაც, მაგრამ თავმჯდომარე იწუნებდა ხოლმე ჩვენ ნაყიდ სანთელს და გამყიდველს ძლიერ აწვალებდა ფულის მიღებაზე. ფულებს თავმჯდომარე იღებდა ხოლმე და ჩვენ მისი ანგარიშის სრულებით არა ვიცით რა და სხვა.“

ძლიერ გააკვირვა ყველანი განცხადების შემ-დეგმა სიტყვებმა: „ღიახ, დეკ. დ. ლამბაშიძე ვაჭირ-ვების და განსაცდელის დროს ამოგვეფარებოდა უკან მე და ჩემს ამხანაგს ფხაკაძეს და გვეუბნებოდა: მიშველეთ, აბა თქვენ იცით, თუ რა პასუხს გაცემთ... როცა განსაცდელი აღარ იყო, მაშინ ჩვენ სრულე-ბით ყურადღებას არ გვაქცევდა და ამხანაგად აღარც კი გვცნობდა.“

\*) იხ. „მწყემსი“ № 15, 1899 წ.





კრების თავმჯდომარე. რას ბრძანებთ, მამაო დავით, ხომ გესმისთ, რას გწამებენ თქვენ?

დებუტ. დათუნაშვილი. აქ რალა საქიროა კიდევ პასუხის გაცემა. ეს კაცები დატანჯულნი ყოფილან თავსმჯდომარისგან. თავსმჯდომარე, როგორც გარემოება ამტკიცებს, ყოფილა კულაკა, როგორც იტყვიან ხოლმე. და უთუოდ უნდა დათხოვნილ იქნეს...

დკ. დ. დამბაშიძე. მთელს კრებაში ჩემს ყურადღებას იქცევდით ყოველთვის, მამაო, (მიიქცა დებ. დათუნაშვილისადმი) თქვენი მსჯელობით. ვგრე იცით ხოლმე გაცხარება, როდესაც კაცის ცუდ საქციელს გაიგებთ და დაუფარავად და მიუდგომლად იტყვიან სიტყვას და სიმართლეს გამოვსარჩლებით. მე კარგად მახსოვს, თუ როგორ გაცხარდით, როცა ერთი პირი ამას წინეთ ერთ კრებაზე სამღვდლოებას ნაღდ მოგებად უმტკიცებდა სათაწო ფულს და იმასაც 80 მ. ნაკლებს! ეხლაც თქვენ რასაკვირველია, გული მოგდისთ ლეკვეიშვილის სიტყვების გამო და იქნობამდისინ გამცხარდით, რომ „კულაკსაც“ გვიწოდებთ. თქვენს დროში, ვგონებ, სემინარიაში ლოდიკას ასწავლიდნენ. ნუ თუ ცოტა რამ აღარ დაგრჩათ ამ ლოდიკიდან ნასწავლი? სანამ გაცხარებულ სიტყვას დაიწყებდით, რიგი იყო მოგეთხოვათ დამტკიცება ფხაკაძისა და ლეკვეიშვილისაგან აბა ჰკითხეთ ერთი მამა ლეკვეიშვილს, თუ ჩვენი კანტრახტისამებრ ვის აქვს უფლება სანთლის შემოწმებისა და გაიგებთ, რომ მე სრულებით არა მაქვს ეგ უფლება.

დებ. დათუნაშვილი. ლეკვეიშვილი და ფხაკაძემ რაცა სთქვენს, თქვენ დაამტკიცეთ, რომ ისინი ტყუილის ამბობენ. ეს თქვენი საქმეა-

დკ. დ. დამბაშიძე. მე ძლიერ მაკვირებს როგორც კრების თავსმჯდომარის, ისე ზოგიერთი დეპუტატის აზრი იმის შესახებ, რომ მე უნდა დავამტკიცო ის, რასაც ბრძანებენ მამა ფ. ფხაკაძე და ს. ლეკვეიშვილი. თითქმის ბავშვებმაც კი იციან დღეს ის ცხადი კანონი, რომ თავისი სიტყვა, თავისი საჩივარი კაცმა თვითონვე უნდა დაამტკიცოს. ვსთქვით, კაცს ნივთის მოპარვას ეწამებიან. ლიტონი სიტყვა არ კმარა კაცის გასამტყუნებლად, უთუოდ უნდა დაამტკიცოს თავისი ბრალდებულება, თორემ ვინ დაერწმუნება ლიტონ სიტყვას. მამა ლეკვეიშვილი და ფხაკაძე განაცხადებენ, რომ ვითომც ჩვენ ისინი არავითარ საქმეზე არ მიუშვით სანთლის ქარ-

ხნის საქმის წარმოებაში. ერთი ჰკითხეთ მათ, რატომ არ განაცხადეს ეს გარემოება ან ჩემთან, ან მღვდელ-მთავართან და ან კრებაზე ამას წინეთ? აი საქმე როგორ გახლავსთ. მოგვხსენებთ კარგად, რომ ჩემგან შედგენილი წესდებულება სანთლის ქარხნის მართვა-გამგეობის შესახებ მიღებული იყო კრებისაგან და დამტკიცებული მღვდელ-მთავრისაგან, მაგრამ არა სრულებით. კომიტეტი შესდგება სამი პირისაგან. ჩვენ ყველას განსაზღვრული გვაქვს შრომა. მღ. ფხაკაძეს წესდებულებით რჩება ხაზინადრობა და ლეკვეიშვილს საქმის წარმოება. ფხაკაძემ არ მიიღო თავის თავზე ხაზინადრობა, განაცხადა, რომ ვინაოდგან ფულების სესხებაზე შემაწუხებენ და მერე ფულების ჩაწერას და გაწერას დიდი დავიდარაბა უნდა, არ შემიძლია ხაზინადრობაო. მან მიიღო მარტო დამზადებული სანთლის მიღება ოსტატისაგან და მიცემა სანთლის დუქანში მჯდომისათვის გასაყიდლად. მე მივიღე ხაზინადრობა და სხვა თავსმჯდომარის მოვალეობა, საქმის წარმოება დარჩა მამა ლეკვეიშვილს. მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მამა ლეკვეიშვილი ძლიერ სუსტად ასრულებდა თავის მოვალეობას. მრავალგზის დავიბარებია სხდომაზე, მაგრამ არ გამოცხადებულა, ხან ბავში მყავს ავითო, ხან ცოლი და ასე მიდიოდა თვეები. მეც მაინცა და მაინც ძალას ვერ ვატანდი რაღაც 8 მ. ჯამაგირის მიმღებს თვეში. წარმოიდგინეთ, რომ წარსული წლის ანგარიში ძლივს ძლივობით აპრილში შეადგინა. 24 აპრილს მამა ფხაკაძემ თავის მოვალეობის ასრულებასაც თავი დაანება იმ მიზეზით, რომ სანთლის დუქანში მჯდომმა ფულები მე არ მომცაო! აპრილის 21-ს რიცხვიდან მე ვასრულებ ყოველ მოვალეობას. ჩემი ამხანაგები ამბობენ, რომ ვითომ სამუშაოთ არ უშვებდი მათ. არ მესმის, როგორ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა ისეთი კაცი, რომ მუშაობას თხოვლობდეს, შრომის განაწილებას გეხვეწებოდეს და უარს ეუბნებოდე და თავის თავზე ლებულობდე ყველა მუშაობას. არა აქ სულ სხვა მიზეზია, აქ სულ სხვა მიზანი აქვსთ მამა ფხაკაძეს და ლეკვეიშვილს და იმათგან განცხადება შეთანხმებულია ზოგიერთ დეპუტატების აზრს და მიზანს. მამა ლეკვეიშვილი აქ კრებაზე განაცხადა: «მე თუ ვსთქვი რამე საწინააღმდეგო მამა თავმჯდომარისაო, მისმა აი ამ კრებაზე წარმოთქმულმა სიტყვებმა მომცეს მიზეზიო».





მართალი ნათქვამია, რომ შუბი ტომარაში არ დამალვებაო. მამა ლეკვეიშვილმა რაც უნდა ფაროს, არ შეუძლია დაფაროს ის, რომ ნათესაობრივმა გრძნობამ გაიტაცა (ლეკვეიშვილი, ფხაკაძე, ქვიშვილი, კრების თავმჯდომარე და სხვებზე ბევრი ნათესავები არიან ურთიერთ შორის), და ათქმევინა მრავალი ცილის წამება და სიცრუე.

განცხადება მლ. ფხაკაძისა და ლეკვეიშვილისა აშკარასიცრუეა და მხოლოდ ცილისწამება, როგორც ამას დაამტკიცებს კასის წიგნი და სანთლის გამყიდველი: რაც ფული მიიღება გასყიდული სანთლისა, შედის ხაზინაში, სახელმწიფო კასსაში, და გამოტანა იქიდან ყოვლად შეუძლებელი არის კომიტეტის რომელიმე ერთი წევრისაგან სხვა წევრთა შეუტყობლად, და თუ გამოგვქონდა იქიდან, გამოგვქონდა მხოლოდ ერთიერთმანერთის ვეჭილობით. მაშ მათ შეუტყობინებლად ხარჯის მოხდენა არ შეიძლებოდა. რაც შეეხება სანთლის ცვილის ყიდვას მათ შეუტყობლად, ეს არასოდეს არ მომხდარა. მაშასადამე, თუ ეს ასეა, არავითარი უფლება არა აქვსთ ჩემს ამხანაგ წევრთ ამისთანა ცრუ განცხადების შეტანისა და არც კრებას აქვს უფლება მიიღოს მხოლოდ ერთადერთი ლიტონის სიტყვით და დაუკტკიცებლად და გამოუძიებლად და თავისი მსჯელობა ამ ლიტონ სიტყვებზე და ცრუ განცხადებაზე დაამყაროს.

ერთი კითხვით, როდის იყო და რა შემთხვევისა გამო ის განსაცდელი, რომ ლეკვეიშვილს და ფხაკაძეს მე უკან ვეფარებოდი და მათ შემწეობას ვთხოვდი? მე ფ. ფხაკაძეს ვსთხოვდი შემეწიე, დამიფარე მეთქი!! მოდი და ნუ გაგეცინება!!

სანთლის შემოწმება ოსტატის საქმეა და არა ჩემი. მე მხოლოდ მაშინ შემეძლო ფულები გამეწერა წიგნში სანთლის სასყიდლად, როცა ოსტატისაგან იქნებოდა შემოწმებული სანთელი. ერთ დროს მამა ფილიპეს ეყიდა სანთელი ორ ფუთამდე, ფულები გამოერთმია საწყობში მჯდომისათვის. მიეცა და გაეშვა კაცი. მე მთხოვა, ეს ფულები გამეწერა, მაგრამ სანთელი რაღაცა საექვე იყო და ოსტატიც არ ღებულობდა. ორ სამ გზის მთხოვა ფულის გაწერა, მაგრამ პირდაპირ გამოუცხადე, რომ ფულების გაწერა არ შემიძლია, თუ ოსტატი ხელს არ მოაწერს, რომ ცვილი წმიდა და უზადოა მეთქი. მოელაპარაკა ოსტატს და ოსტატმა განაცხადა, რომ იღებს ამ სანთელს როგორც წმიდა ცვილს, თუმცა

ბევრს იზარალებს, რადგან ნამეტანი ქუქციანიაო და მეც გავსწერე ეს ხარჯი.

ხშირად მომხდარა, რომ ქუთათურ ურიებს და ზოგ ქრისტიან ვაჭრებსაც მოუტანიათ სანთელი და რომ გავვისინჯავს გასასინჯავი მანქანით, აღმოჩენილა, რომ ცერეზინი რევია და უკანვე დაგვიბრუნებია. გოკიელოვის მალაზიას არა ერთხელ გაუფრთხილებივართ, რომ ურიები ცერეზინს ყიდულობენ და ერთი ფუთი წმინდა სანთლის ცვილიდან სამ ფუთს ცვილს აკეთებენო, და ამნაირად ატყუებენ მყიდველსაო. ამას გარდა მე შევნიშნე, რომ სანთლის გადანაწურ ქუქქს, ჩენჩოსაც ყიდულობენ, რომელშიაც მკვდარი ფუტკრებია ბევრი. ამ ჩენჩოს და მკვდარ ფუტკრებს გაურევენ ამ გადამდნარ ცერეზინიან შერეულ სანთლის ცვილს და ატყუებენ სუსტი გონების კაცებს. ამისთანა ხელოვნურად გაკეთებული ყალბი ცვილის ყიდვაზე იქნება უარი უთხარი ზოგიერთ ქუთათურ ვაჭრებს და ამით ვაწყენიე მამა ფ. ფხაკაძეს, მაგრამ რა გაეწყობა. სიმართლის გულისთვის ფ. ფხაკაძეზე უფრო მეტი კაცისათვის ბევრჯელ გვიწყენინებია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, დღემდის გადარჩენილი ვართ მათი რისხვისა და ცილის წამებისაგან. კრებას ვსთხოვ მოსთხოვოს ლეკვეიშვილს და ფხაკაძეს, როდის იყო ის შემთხვევა, რომ სოფლელი კაცისაგან იყიდეს მათ კარგი ცვილი და ჩვენ დავიწუნეთ, ან ვინ, იყო სახელდობრ, რომელი გლეხი, ან აზნაური, რომ ფულები არ მივეციოთ და ვაწვალეთ ტყუილ უბრალოდ კარგი სანთლის მომტანი?

დკპ. აშ. ფოფხაძე. მამაო თავმჯდომარე, ტყუილ უბრალოდ გვაცდენ ჩვენ ამდენი ლაპარაკით, რა საჭიროა აქ ამდენი ლაპარაკი და საქმის გამოძიება. დადგით კენჭის საყრელი კოლოფი. თუ სურთ დეპუტატებს, დარჩეს დეკ. ლამბაშიძე, დარჩება და ის იქნება, თუ არ ისურვებენ და მის მაგიერ სხვა ავირჩიოთ.

დკგ. ა. ჭეიშვილი. სწორეთ მართალს ამბობს დებ. ა. ფოფხაძე. რა საჭიროა აქ ამდენი ლაპარაკი. კენჭი გამოაჩენს ყველაფერს.

დკპ. ა. გერსამია. საქმის გამოძევა კენჭის ყრით არ გამოიგონია არსად. აქ ზოგიერთები ვითომ და ბოროტ-მოქმედებაზე ლაპარაკობენ: აგვისხენით ეს ბოროტ-მოქმედება და ბოლოს გარდავწყვეთ საქმეს. არ გამოიგონია კენჭის ყრით საქმე გამოძიებულიყოს...





ამ აზრს მიემხრნენ სხვებიც. სიტყვის ნება ითხოვა თავსმჯდომარისაგან მღვდელმან ივლიანე წერეთელმა, რომელიც ახლად აფრჩიათ დებუტატად ქეიშვილის საბლადოჩინოში. თავმჯდომარემ მისცა სიტყვის თქმის ნება.

დკმ. ა. წერეთელი. მე ის უნდა მოგახსენოთ, მამაო დებუტატო, რომ სანთლის ქარხნის საქმე დიდი საქმეა. მე ძლიერ მიკვირს, როგორ შეიძლება კაცი, რომ სანთლის ქარხნის საქმეებს წაუძღვეს და იგი ქუთაისში ნიადაგ არ ცხოვრობდეს. სანთლის ქარხნის გამგე ნიადაგ თავს უნდა ადგეს სანთლის ღუქანში მჯდომს, ნიადაგ ფულებს უნდა ართმევდეს, ანგარიშებს ტყობილობდეს ერთი სიტყვით, კაცი უნდა იყოს ქუთაისში ნიადაგ მცხოვრები და არა ყვირილაში მცხოვრები. ვინ იცის, რა უბედურობა მოხდება, როცა კაცი დაგიგულვებს, რომ ადგილზე არა ხარ“.

მამა ივლიანე წერეთელმა თავისი გამტკანარებული სიტყვა ძლიერ გააგრძელა და მარალა ზოგიერთი მოხერხებული სიტყვით უმტკაცებდა სამღვდლოების კრებას, რომ მხოლოდ მაშინ წავა სანთლის მართვა-გამგეობა კარგად, როცა ქუთათურები დაინიშნებიან ქარხნის მმართველებადო.

დკმ. დ. ღამბაშიძე. მღ. ივლ. წერეთლის სიტყვები გამოწვეულია იმისთანა მიზეზებისაგან, რომელიც კრებას არ მოხსენებია და ამისთვის საჭიროდ მიმაჩნია კრებას მოგახსენო. მ. ივლ. წერეთელი გახლავსთ ერთი იმ ძველი დროის სანთლის ქარხნის მმართველ პირთაგანი, როცა სამღვდლოებს რვა-ათას მანეთამდე დაეკარგა და დაეღუპა. ივ. წ—ლი ბძანდებოდა სანთლის ქარხნის ზედამხედველის—მეთვალყურის ერთი სანდო წევრი! ამ დროს ის ბძანდებოდა ქუთაისში და მსახურებდა დიაჩოქად კათედრის ტაძარში. ერთი ჰკითხეთ მას, თუ კი დკმ. დ. ღამ—ძე კვირაში ორჯერ და სამჯერ მოდიოდა ყვირილიდან და ფულებს ართმევდა სანთლის გამყიდველს და შეჰქონდა ხაზინაში, რატომ ერთხელ არ მიბძანდენ ეს რევიზიის წევრნი და ერთხელ მაინც არ შეუმოწმეს ანგარიშები სანთლის გამყიდველს რასკინს ექვს თვეში? თუ დკმ. დ. ღამ—ძე კი შობდა თავისუფალ დროს ყოველს კვირაში და ვნების კვირაშიც კი მოვიდა ქუთაისში და ორ გზის ჩამოართვა 3 ათასი მან. სანთ. გამყიდველს, დაისომეთა ვნების კვირაში, რატომ არ ინებეს ქარხნის მმართ-

ველმა და მეთვალყურეებმა, რომ ერთხელ მაინც შესულიყვნენ და ჩამოერთმიათ სანთლის ფული რასკინისათვის, რომ ნააღდგომევეს 5 ათასი მანეთით არ წასულიყო და არ გამქრალიყო? თუ ყვირილიდან ვმართავთ ჩვენ სანთლის ქარხანას და ამ მცირეს ხანში შემოსავალს 2 ათასი მან. მოემატა, რატომ არ იყო ამდენი შემოსავალი იმ დროს, როცა სანთლის ქარხნის მმართველები ათ საუენზე ცხოვრობდნენ სანთლის საწყობიდან?.. მაგრამ არა, მამაო ივლიანე, ადგილის ახლოობა არაფერ შუაშია აქ. საქმე ის არის, თუ როგორი კაცია ქარხნის მმართველი და რამდენად გულშემატკივარია საზოგადო საქმისათვის. მართალია, ყვირილა 38 ვერსით შორავს ქუთაისს, მაგრამ დღეში სამჯერ შეუძლია კაცს მოვიდეს ყვირილიდან ორთქლმავალით და სამჯერ შეუძლია წავიდეს ყვირილაში. ხშირად მოესულვართ ყვირილიდან საქმისათვის, მაგრამ ქუთაისში მცხოვრები ვერ მოსულა საქმეზე. თქვენ იქნება ის გიკვირდეს, თუ როგორ შემიძლია ამდენი საქმის მოსწრება და გაკეთება, მაგრამ ეს არა თუ თქვენთვის, არამედ სხვებისთვისაც გასაკვირველია, მაგრამ ჩვენ აქ არაფერს არ ვხედავთ გასაკვირვალს. გთხოვთ, საწყენად ნუ მიიღებთ, ზოგიერთი ვაჟ-ბატონები ხუთმეტჯერ შემოიფლიან ქუთაისის ბულვარს და კიდევ ყოყოჩობენ, რომ ამდენჯერ შემოგუარეთო, მაგრამ მე ამისთანა ოხერი დრო არა მაქვს და საქმეს ვადგივარ. ამიტომაც კეთდება საქმე და სხვისი ზარმაცი გონება ამას ვერ მიმხვდარა და ვერც მიხვდება...

ორიოდე უკანასკნელი სიტყვა მსურს მოგახსენოთ და მერე როგორც ვნებავსთ, ისე მოიქცეთ.

მე სრულებით არ მაკვირვებს ზოგიერთი დებუტატების ახირებული მსჯელობა სანთლის ქარხნის შესახებ. შესაძლებელია, რასაკვირველია, ამისთანა მსჯელობა აქ ჩვენში, როდესაც საფრანგეთშიაც, სადაც, თითქმის, ყველანი ფრიად განათლებულნი არიან, მაგრამ პარლამენტში ისეთ საოცარ მსჯელობას იჩენენ, რომ ქვეყანას აკვირვებენ. აქ ჩემ პირად სარგებლობას სანთლის ქარხნის მართვა-გამგეობაში ადგილი არა აქვს. სათაკილოდაც კი მიმაჩნია ამ საქმის ხელის მოკიდება იმ სხვა საქმეებთან, რომელნიც ჩვენ გვაქვს ნატვირთავი. ბევრი გადვიმტერე, ბევრი მოვიმდურე, მაგრამ იცით რისთვის? მისთვის, რომ სანთლის ქარხნის ფულები ვერ მიიღეს ისე, როგორც სურდათ. დღესაც ზოგს საჩუქრის მიღება



სურს სანთლის ფულებიდან, როგორც მაგ. მ. ივლ. წერეთელს, რომლის თხოვნაზე მე დავაწერე, რომ მადლობელი უნდა იყოს იგი, რომ პასუხის გებაში არ მიეცა რეფანტული ფულები არ მოეთხოვა ჩეთქი, მეორეს, მესამეს, მეოთხეს და მეხუთესაც ანაირი ანგარიშები აქვს და ყველას სურვილს მე ველობები. ერთის, ორის და ათი დეპუტატის სურვილი და საყვედური არაფრად მიმაჩნია, მაგრამ სამწუხარო იქნება მთელი კრებას სურვილი, რომლის მეობები-თაც უნდა ვმოქმედებდეთ ჩვენ. კარგად იცით, თუ რა შრომა და მეცადინეობა მიმიძღვის ამ საქმეში, რომ ყ-დ სამღვდლომ ეს უფლება მიანიჭა სამღვდლოებს სანთლის ქარხნის მმართველ-გამგებობისა და ისე მოიქცეთ, რომ ეს უფლება ისევ არ ჩამოგერთვასთ. უკანასკნელად ვთხოვ თავმჯდომარეს, რომ რაც ვთქვი, ყველაფერი ჩაიტანოს სიგელში და თუ ამ სიტყვიერ განცხადებას არ ჩაიტანს სიგელში, მომცეს სამი საათის დრო, რომ დაწერილი ჩემი პასუხი წარუდგინო მას საქმეში მისაღებად.

კრების თავმჯდომარე. როგორ მოვქცეთ, მამანო დეპუტატო!

დებ. აშ. ფაფე—სქ. მე გთხოვთ თქვენ, რომ კენჭის საყრელი კოლოფი მოგვიტანოთ და კენჭით გავიგოთ საქმე, სურთ, რომ ძველი კომიტეტი დარჩეს, თუ ახალი არჩეულიყო და რატომ არ აასრულეთ ეს? როცა ეს სიტყვები დაასრულა წამოხტა, გარედ გავიდა, მონახა ლობიოსმარცვლები, მონახა კენჭის საყრელი კოლოფი და დაუდგა თავმჯდომარეს წინ და მოითხოვა, რომ უსათუოდ მას კენჭი ეყარა და შეეცყო, რამდენი ისურვებდა ძველი კომიტეტის თავმჯდომარეს. თავმჯდომარემაც მისი წინადადებებისაგან დაურიგა ლობიოს მარცვლები. ზოგი დეპუტატები გარედ გავიდნ და აღარც მიუღიანთ მონაწილეობა კრების საქმეში. ზოგი დარჩა, მაგრამ არ მიიღო მონაწილეობა კენჭის ყრაში. აღმოჩნდა, რომ 25-მა დეპუტატმა (სულ ორმოცზე მეტი დეპუტატი იყო) ისურვა აირჩიონ ახალი კომიტეტი და აირჩიეს კიდევ დეკ. იოსებ ჭეიშვილის თავმჯდომარეობით და ტიმოთე კაპანაძის და ანთიმოზ გორგაძის თანამწვერობით, რომელზედაც შეადგინეს ჟურნალი და ხელი მოაწერეს მარტო 25 დეპუტატმა.

ამაირად, ერთსა და იმავე დროს საფრანგეთში დაცა დიუბუის სამინისტროს გამგეობა და იმერ-

თში—დეკ. დ დამბაშიძის სანთლის ქარხ. გამგეობ საფრანგეთში დიდი ხანი ეძებეს დიუბუის სამაგიერო კაცი და აკერ ორი-სამი კვირის შემდეგ მონახეს. ქუთაისში კი თურმე ერთი თვით წინეთ ყოფილიყვნენ აღრჩეულნი!..

დამსწრე.



წერილი რედაქციისადმი სვანეთადგან

წარსული ივნისის თვის 19 რიცხვს ლატალის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელმა გაიოს ძიმისტარა-შვილმა მოიწვია თავის რწმუნებულ ეკლესიაზე მთელი სვანეთის სამღვდლოება და მათთან ერთად გადინდა წირვა და პანაშვიდი უკვე გარდაცვალებულის სვანეთის ბლალორჩინის დეკანოზ ვაწაძის სულის მოსახსენებლად. შემდეგ წირვისა ყველა მოწვეული სამღვდლოება სახლში მიიწვია სადილად მამა გაიოსმა. სადილზედ გაიოსმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა განსვენებულის დეკანოზის შესახებ:

„დღეს ჩვენ ვეკლანა შეკავებებით ჩვენის უკვე განსვენებულის დეკანოზის იოსებ ვაწაძის სულის მოსახსენებლად. განსვენებული განმავლობასა შინა ორ-მეცდის წლისას მსახურება სვანეთში და მთელი სვანეთის სამღვდლოების გზის მანვენებული იყო, როგორც ბლადონიანი. დღეს უღმბოქამა სიკვდილმა მოულოდნელად მოგვტაცა იგი. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ ვერ ვედასრეთ მის უკანასკნელ ანობრს და მისგან შენდობის მიღებას, ვინაიდან განსვენებული ქ. ქუთაისში კარდაიცვალა. დღეს განსვენებულის ეკლას ზატავის მტემქანი აქ ვართ შეკრებიანი, რათა თავაღ-წინ წარმოვიდგინოთ განსვენებულის სამსახური და გამოვსატოთ ჩვენი მისდამი ზატავისცემა. მე, როგორც თქვენ შორის უხუცესს და მისთან მღვდლად მწ-ის წლის სამსახურს უფრო დაახლოვებით მაქვს შეკრებული განსვენებულის შრომა და დავწდი, რომელიც სვანეთზედ მიუძღვის განსვენებულს. როდესაც განსვენებული სვანეთშიდ მღვდლად გამოწყისა ცერის სამრეკლოში, მე თან ვასდდი მას შედავითხედ. განსვენებულს მრავალი ზრუნვა აწვა კისერზე ერთის მხრით სვანეთის სამღვდლოების მმართველ-კამეკობა და ჭეროვანი უურადღება, მეორეს მხრით





თვისი კერძო ოჯახის მდგომარეობა თხრობდა ეუ-  
რადლებს და დიდს გამჭრიახობას. განსვენებული იყო  
დატვირთული წვრილი ცოლშვილით, მას ყავდა ოთხი  
ვაჟი და ოთხი ქალი; ამათი გამოზრდა და ზეტონობა  
არა მცირედ შრომის მოითხოვდა განსვენებულის მხრიდან.  
უფრო სასწელო ის იყო, რომ განსვენებულს არ შეეძლო  
სამსახურისა გამო თავის ცოლ-შვილთან ეცხოვრა სვა-  
ნეთში. დედა თავის ქალიშვილებს ვერ შორ-  
დებოდა და ამიტომ რაჭაში ცხოვრობდა. ცოლ-ქმარნი  
წელიწადში ერთხელ თუ ნახვადენ ერთმანეთს და, ისიც,  
მცირე ხნობით და ისიც ივნისის თვის გასულს, როდესაც  
საცხენო გზა გაიხსნებოდა სვანეთის მთებზე. როდესაც  
განსვენებულმა თავისი ქალები გაათხოვა, ცოლ-ქმართ  
განიზრახეს ერთად ეცხოვრნათ უკანასკნელ უამხედვე, შავ-  
რამ სამწუხაროდ და სავალალოდ მათდა ამ დროს მათი  
უნძროსა ვაჟი-შვილი შეიძურო განუკურნებელმან სენმან,  
განზრახვა მათი დარჩა განზრახვად, დედა თავის შვილს  
ველარ შორდებოდა. ვაჟის ვადამყოფობა გერტყელდა ამ  
უკანასკნელ დრომდე, იმის სიკვდილმაც მოუსწრაფა  
განსვენებულს დეკანოზს სიკვდილი. ისრეთაც დატანჯულს  
ავათ-მოფობათ. „დატანჯულს დედას ჯერ შვილის სიკვ-  
დილისგან გამოურეკველს, მოულოდნელად კარს მიადგა  
მისი ძვირფასი მეუღლე—ცოცხალ-მკვდარი, რომელიც  
ერთი კვირის განმავლობაში სამუდამოდ გამოეთხოვა  
თავის დატანჯულს მეუღლას და შვილებს. განსვენებული  
ყოველ კარემობას უძლოდა წინ გამკლავებული და მოთ-  
მინების იარაღით აღჭურვილი. ნუ თუ მცირე იყო მისი  
შრომა და ღვაწლი! შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ უფრო  
ბევრის გაკეთება შეეძლოდა! ამაზე მე უზარებო მათ  
შემდეგს: უწინდელს დროში მთავრობა ისეთ დახმარებას  
ვერ უწყევდა სვანეთში მოსამსახურე ზიროთ, როგორცაც  
დღეს. დღეს ეს დახმარება ვეკლასათვის თვალსაჩინოა,  
ვინ არ დამეთანხმებით ამაში, რომ წარსულს წელში  
განსვენებული მოხუცი დეკანოზი რა დიდის ხადისი და  
ერთგულებით უძლოდა წინ ბ. მამინაიშვილს მართლ-მადი-  
ლებელი სარწმუნოების აღმადგენელი ხაზოგადობის ინ-  
სტიტუტის სოფლითი-სოფლად, სკოლების დაარსების და  
სამღვდელთების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე  
ამ უგზო-უკვლო მხარეში. მე თვითონ გამოგონა ბ.  
მამინაიშვილისგან, რომ მას აკვირებდა მსცოვანი დე-  
კანოზის ესრეთი მხნეობა და მისდამი თანაგრძობა.  
წარსულის წლის შემთხვევამ გაუორკვეცა განსვენებულს  
შრომა. ამ დროს მხნე იმერეთის ეპისკოპოსის ბეს-  
რიანის მობრძანება ხვანეთში. რასაკვირველია ამათაც

თავისი სამსახური წინამძღოლობა გაუწია, ისე სამარჯვით  
და ერთგულებით არა თუ მოხუცის კაცისგან არამედ  
ახალ-გაზდა კაცისათვისაც საქებადა იყო. ასეთი შრომა  
და ზრუნვა ალბათ ვეღარ აიტანა ოთხმეტის წლის მო-  
ხუცმა დეკანოზმა. ამ ჩვენსგან დაუფიქრარს მეთაურის  
დაკარგვის სულის მოხსენების დღეს აქ შეკრებილთ ად-  
ვაგლინოთ უზენაესისადმი მხურვალე ვედრება, რათა  
სული განსვენებულისა იქმნეს შერიცხულ დიროსა ნეტარ-  
თათანა“.

მღვდელი ბესარიონ შიოს ძე გორგაძე.

(ნეკროლოგი)

1820—1899 წ.



მთავის ცხრას, ხანგრძლივი ავადმყოფო-  
ბის შემდეგ, ს. ილემს (შორაპნის მაზრა)  
გადაიცვალა მღვ. ბესარიონ გორგაძე.  
განსვენებული დაიბადა 1820 წელს; სწავ-  
ლა დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სას-  
წავლებელში, რის შემდეგაც (1847 წ.)  
მღვდლათ იქმნა ხელდასხმული დავით მიტროპო-  
ლიტის მიერ.

მისი ცხოვრება არ წარმოადგენდა რაიმე გან-  
საკუთრებულს, სამოღვაწეო გრიგალ-ქარიშხლით  
მოცულს მოვლენას, იგი არ ქუხდა, არავის უყრუ-  
ვებდა ყურებს; მაგრამ არც იმდენათ უწინმწინელო  
ყოფილა, რომ მისი აღწერა ვისიმე ყურადღებად არ  
ღირდეს, განსაკუთრებით თანამედროვე გაგულ-  
ზვიადებულ ახალ-გაზდა სამღვდელოების ყურადღე-  
ბათ. დიახ, ეს ცხოვრება არ წარმოადგენდა უზარ-  
მაზარს, დიდებულს კოცონს; ის უფრო პატარა  
წმინდა სანთელს წააგავდა, მაგრამ არც ისე პატარას,  
რომ მისი შუქი უწინმწინელოთ დარჩენილიყო ჩვენი  
ერის ცხოვრებაში, განსაკუთრებით იმ გონებრივ  
სიბნელის დროს, როცა ის პირველათ აღინთო  
ცხოვრების სარბიელზე. ეს იყო დრო ბატონ-ყმო-



ბისა, გონებრივ სიბნელისა, ჩვენებურ ძველებური დაუდევრობისა, და ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენი დაბრკოლებანი უნდა გადალბებოდა წინ ახალ-გაზდა ბესარიონს.

და პირველი დაბრკოლება მან თვითონ საკუთარი სწავლა-გამოზრდის საქმეში ნახა.

სასწავლებელში მისი გაბარება სწორეთ იმ დროს მოხდა, როცა ჩვენი მამების უმრავლესობა შვილებს შინ მალავდა და არას გზით არ თანხმდებოდა ქალაქის სასწავლებელში გაეგარებია. ესევე ბედი ეწია ახალ-გაზდა ბესარიონსაც. თუმცა მამა-მისი (შიო) მღვდელი იყო, მაგრამ მღვდელი ძველ წესზე აღზრდილი, რომელმაც—როგორც გავიგონია—თავის სახელისა და გვარის წერაც არ იკოდა და, ხელის მოწერის ნაცვლად, საქმის ქალღმერთზე ჯვარს (+) სვამდა ხოლმეო. გასაკვირველი არაა, რომ ამისთანა მშობელს დიდი ვერაფერი ტრფიალი ქონებოდეს სწავლა-განათლებისა და აკი ამიტომაც იყო, რომ იგი შვილების გამოზრდისათვის თავს დიდათ არ იტყენდა. ამას ზე-დაურთეთ მებატონის კარზე რიგრიგათ სავალდებულო სამსახური, რაც იმ დროს (30-იან წლებში) თანასწორ ტვირთად აწვათ კისერზე როგორც ერს, ისე მღვდელს, ისე მის შვილებს (გავიგონია, შიო მღვდელს მებატონე ქურშიაც კი ჩაგზავნიდა ხოლმე სარეცხათო),—და ადვილათ მიხედებით, თუ რა ხვედრიც უნდა წეოდა საბოლოოთ ახალ-გაზდა ბესარიონის და მის ახლობელ შთამომავლობას, უკეთუ მას იმ თავითვე არ გაეწყვიტა კავშირი ამ ყოველად სახარელ და ადამიანის ნიჭილისებათა დამშობელ წრესთან. და ის მართლაც ასე მოიქცა. სხვისი შთაგონებით, თუ საკუთარი ფიქრ-დაკვირვებით მან საკმაოთ იგრძნო და გაითვალისწინა უვარგისობა თვისი მაშინდელი „აწმყოსი“, გული უკეთესის „მერმისის“ სურვილითა და მისწრაფებით აღევსო, ხოლო ამ „მერმისის“ უმთავრეს მომწყობ დედა-ძარღვათ მან „სწავლა“ დაისახა და, ერთ მშვენიერ დღეს, მშობლებისგან რაღაცაზე გამოჯავრებულმა მიატოვა მამის სახლ-კარი, სამშობლო იღემი და გასწია იქითკენ, საითაც გონება უჩვენებდა.

იმ დროს ზემო მხარეში ილმის მახლობლათ (ს. მარელისში) სახელ განთქმული იყო ერთი ინასარიძე დეკანოზი, რომელიც ძველი მწიგნობრულად იყო აღზრდილი და მწიგნობრობასავე ასწავლიდა

ახალგაზდა „დიაკვნებს“. ეს ოჯახი შიო გორგაძის (ბესარიონის მამის) ოჯახს კარგა დაახლოვებით იცნობდა და კიდევაც ენათესავებოდა. ამ დეკანოზს ყავდა უმფროსი შვილი, სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებული, რომელიც მაშინ უკვე მთავარ-დიაკვნათ იყო მამასთანვე. ამ მთავარ-დიაკონს კარგად იცნობდა ბესარიონი და ბევრჯელ გულიც ატოკებია მისი «რუსულის» გაგონებაზე.

აი, სწორეთ ამ ოჯახისკენ მოაშურა ახალ-გაზდა 17—18 წლის ბესარიონმა იმ იმედით, რომ უარს არ მიიღებდა, ყოველ შემთხვევაში რჩევა-დარიგებას მაინც მისცემდნ. მართლაც იმედი არ გაცრუებია: მასინძელმა ის არამც თუ არ დაითხოვა, პირიქით დიდი სიხარულით მიიღო, რამოდენიმე ხანს შინვე ასწავლიდა და, რომ შეატყო—ნიჭიერიო, თავის უნცროს შვილთან ერთად საკუთარი ხარჯით წაიყვანა ქუთაისს სასულიერო სასწავლებელში მისაბარებლათ. მიღებისთვის ბევრი დავიდარაბა არ დაქირვებით, რადგან იმ დროს შეგირდი სათლით საქმბარი იყო.

ასე დაბოლოვდა პირველი თავისუფალი ნაბიჯი მ. ბესარიონის ცხოვრებისა. ქუთაისის სასწავლებელში მან სულ 7—8 წელი დაჰყო და კურსი ერთ ერთ საუკეთესო შეგირდათ დამთავრა (18... წ.)

ამას შემდეგ არ გაუვლია არც ერთ წელს, რომ იგი ილმის მღვდლათ ეკურთხა და ამ ხარისში მსახურებდა 1886 წლამდე, როცა, რევმატიზმით (ქარვბით) ხელ-ფეხ მოკვეთილი, იძულებული შეიქნა სამხახურისთვის თავი დაენებებია.

აგერ ბოთხმეტი წელი გადის, რაც მისი ხმა ეკკლესიაში აღარავის გაუგონია, მაგრამ მისი მოხდენილი, დინჯი და მოწიწებითი წირვა-ლოცვა დღესაც ბევრს სიამოვნებით აგონდება. განსვენებულს მეტათ უქებდნ სახარების კითხვას, რასაც განსაკუთრებით, ნაზი ბოხი ხმა და მტკიცე სარწმუნოების გრძნობით გამსჭვალული კილო ამშვენებდა და მსმენელისთვის მეტად სასიამოვნოთ ხდიდა. რაც შეეხება ტიბიკონისა და საეკკლესიო წესების ცოდნას, ამ მხრივ მთელ ეპარქიაში მას, მგონია, ორიც ვერ აჯობებდა. ამბობენ, მაგალითი არ ყოფილა, რომ საეკკლესიო ღვთის-მსახურებაში მას რაიმე ტიბიკნური შეცდომა დაეშვასო. ამ შემთხვევაში ის არამც თუ თავის თავს, სხვებსაც კი არას გზით არ აპატივებდა რაიმე ბორძიკს ან საღმრთო-წერი-



ლის წიგნებში ტყუილის თქმას. ამაში ის მეტათ ულმობელი იყო: არ შეიძლებოდა გულ-მაგიწყარ და ტყუილის მოქმელ „დიაკნისთვის“ შეცდომა იმ წამსვე არ გაესწორებია, თუნდ ეს თვით წირვის დროსაც ყოფილიყო. და სწორეთ ამითი აიხსნება, რომ მასთან ღვთის-მსახურების შესრულებას კაი გამოცდილი მედავითნეებიც კი ერიდებოდნენ.—ესევე დღე ადგათ მისგან დაუდევნელ მღვდლებსაც.

არა ნაკლებ თვალსაჩინო იყო მ. ბესარიონის უანგარობაც მრევლთან დამოკიდებულებაში. არ ყოფილა მაგალითი, რომ მას სამღვდლო წესთა შესრულებისათვის მრევლისთვის რაიმე მატერიალური შევიწროვება მიეყენებოდა: რასაც მიცემდნენ, იმას ჯერდებოდა. განსაკუთრებით მისი მაღლიერი იყვენ სუსტი ოჯახები, რომელთაც მისგან გამხნეებისა და შემთხვევისდაგვარათ დახმარების მეტი არა ახსოვთ რა...

რომ მ. ბესარიონის სამსახური და ცხოვრება ყველა მის თანამოსამსახურეთაც სამაგალითოდ მიაჩნდათ, ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ თითქმის მთელი ოცდა ათი შტატის მღვდელმა ის ერთხმად მოძღვართ-მოძღვრათ აირჩია (1868 წ.), რომელ თანამდებობასაც ის ასრულებდა სამსახურად. გან გადადგომამდის...

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავია მ. ბესარიონის ღვაწლი ხალხის სწავლა-განათლების საქმეში, რამდენათაც ეს მის დროსა და გარემოებებში შესაძლო იყო და მოსახერხებელი. ჯერ ბატონ-ყმობა ისევ ვადუვარდნელი იყო ჩვენში, როცა (1862, თუ 63 წ.) მან შკოლა გამართა საქარქედს ერთი მეღუქნის სახლებში. ეს პირველი და ერთათ-ერთი შკოლა იყო მაშინ მთელ შორაპნის მაზრაში. მაგრამ რ. დგანაც მაშინ სწავლის უფლება მხოლოდ „კეთილშობილთა“ და სასულიერო პირთა პრივილეგია შეადგენდა, ამის გამო საქარქედის შკოლაც უმეტეს ნაწილად მებატონეთა ბავშვებით იყო გავსილი. აღარ გვახსოვს, რამდენს ხანს იარსება ამ შკოლამ. იქიდან გამოსული „კეთილ-შობილები“, ვკონებ, დღესაც ბევრი უნდა იყოს ცოცხალი და მათ გადაწყვიტონ, ქონდა რამე მნიშვნელობა მათს ცხოვრებაში ამ შკოლას თუ არა...

ამას შემდეგ გაიარა რამოდენიმე ხანმა და მ. ბესარიონმა, უკვე საკმაოდ ხანში შესულმა, 1885-ს წელს კვლავ გახსნა სამრევლო შკოლა ს. ილემს

საკუთარ სახლებში, სადაც მასწავლებლათ თავის უნცროსი ვაჟი ყავდა. ეს შკოლა დღესაც არსებობს ამავე სოფელში და იქიდან გამოსული ახალ-გაზდობ-არა ერთი და ორი იხსენიებს მაღლობით მ. ბესარიონს.

შკოლის გარდა. მ. ბესარიონს არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის სამშობლო ეკლესიის წინაშე სამაგალითო მედავითნეების აღზრდაშიაც. მისგან გაწვრთნილი მედავითნეების რიცხვი დღეს ბარე 20-მდე აღწევს, რომელნიც, ვკონებ, ყველა ცოცხალია და საუკეთესო მედავითნეებათაც ითვლებიან, როგორც ქართულ წერა-კითხვასა და ტიბიკონის კოდნაში, ისე კერძო ცხოვრებაში.

რაც შეეხებ მ. ბესარიონის საშინაო ცხოვრებას, ამ მხრივ მას მეტის-მეტათ უყვარდა მყუდრო და აუშფოთებელი ცხოვრება, ღმერთის ლოცვა-ვედრება. საღმრთო-წერილისა და რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვა.

არ ყოფილა შემთხვევა, მძიმე ავადმყოფობის გარდა, რომ მას რომელიმე დღეს შინ მცირე მწუხრი და სხვა პატარ-პატარა ლოცვები არ შეესრულებოდა; წამოწოლილი და დაჯდომილიც კი მუდამ ჟამნს და დავითნს ათვლიერებდა.— არა ნაკლებ უყვარდა მ. ბესარიონს ძველი ხელ-ნაწერების გადაწერაც. ამაში ის განსაკუთრებულს სიამოვნებას ჰპოვებდა. მის მიერ მშვენიერი მხედრული ხელით გადაწერილი „ანდრია სალოსის ცხოვრება“ და ეგრედ წოდებული „ფეჟთი“ დღესაც ინახება მის საოჯახო პატარა წიგნთ-საცავში.—საზოგადოდ ის უფრო გონებრივსა და ზნეობრივ საზრდოს ეტანებოდა; ფიზიკური შრომა კი მას არაფრად იზიდავდა,— და ალბათ ამის ბრალი უნდა იყოს, რომ ულმობელმა სწეულებამ მას უდროვო დროს ააღებია ხელი საყვარელ სამსახურზე და ლოგინად ჩააგდო.

შესანიშნავია განსვენებულის ზრუნვა შეილესის აღზრდის შესახებ. მას დარჩა სამი ვაჟი-შვილი და სამი ქალიშვილი. ვაჟებთაგან ორმა დაასრულა ოთხ-კლასიანი კურსი და მღვდლებად არიან და ერთმა დაასრულა აკადემია და მასწავლებლად არის ქ. სას. სასწავლებელში. ორი ქალი გათხოვილია და ყავსთ მღვდლებს და ერთიც გაუთხოვარი.

მთელი ათი წელი მწოლარე ავათმყოფობაში





გაატარა, ვისაც გამოუცდია, ადვილათ მიხვდება, თუ რასაც ნიშნავს რევმატიზმით დასნეულება. მუდამ ტკივილები, მუდამ გულისწუხილი და მოუსვენრობა,—აი, რა არგუნა ბედმა საბოლოოვით ამ ფრიად სიმპატიურს ადამიანს. განსაკუთრებით გამწვავებული იყო მისი ავადმყოფობა ამ ხუთ უკანასკნელ წელს: მას აღარც საკუთარი ხელით სმა-ჭამა შეეძლო, არც ადგომ-დაწოლა, არც გვერდიდან გვერდზე გადაბრუნება; ამას დაურთეთ თვალის კლება, რის გამოც იგი იძულებული შეიქნა თავის საყვარელი წიგნებისათვის—ამ ერთადერთი ნუგეშისთვისაც კი—თავი დაენებებია,—და ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა ძნელი ასატანიც უნდა ყოფილიყო მისი ზნეობრივ-გონებრივი ტანჯვა. მიუხედავად ამისა, მის მოთმინებასაც საზღვარი არ ქონდა: ის იობისებურათ იტანდა თავის მწარე ხვედრს და კენტი საყვედრებელი სიტყვაც არ დაცდენია ღმრთისა და ბედის წინაშე. ასე გასტანა მან თვით, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდის, რომელიც საყვარელ ცოლ-შვილსა და მრავალ რიცხოვან შვილის-შვილების წრეში დალია; და თავისი გარდაცვალება თითქმის სისწორით 24 საათით ადრე წინასწარ-იგრძნო და წარმოსთქვა.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მღვდლო და ადამიანო!

ს. გ.

კ სა მღვდლობისაგან.

(რუსულიდან)

გაგრძელება \*)



აჭიროა ცოტა თავიდან დავიწყო, რომ უფრო გასაგები შეიქნეს მომქმედ პირთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება. გრიგოლი ხუთი წლისა თუ იქნებოდა, როცა მას მშობლები დაეხოცა; დაობლების დღიდან გრიგოლი მუდამ თავის ბიძა მ. ივანესთან ცხოვ

რობდა, რომელსაც მეუღლე გარდაეცვალა ორი წლის შემდეგ დღიდან ჯვარის წერისა. მ. ივანეს მრევლში მძინვარებდა ხურცება და ამ სენმა იხსვერბლა მ. ივანეს მეუღლაც. განსვენებული უშვილოდ გარდაეცვალა. ძნელად თუ ვინმე ასწერს მ. ივანეს მწუხარებას. საბრალო თავიდან თმას იგლეჯდა, რამდენიმე თვე მუდამ მეუღლის საფლავზე დაიარებოდა, დაემხობოდა საფლავს და გულამოსკენით ქვათინებდა. სამწყსოთ თვალში ცრემლი მოდიოდათ, როცა მ. ივანეს ხედავდნ სასაფლაოზე მიმავალს. როცა მ. ივანე სასაფლაოსკენ მიდიოდა, არ შეიძლებოდა, რომ მას აქეთ-იქით მიეხედ-მოეხედა, ან თავი მალა აელო. მიეშურებოდა სასაფლაოზე, რომ ხელახლა განეახლებია თავის გულში მწუხარება, ვინაიდან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მარტო ამ მწუხარებით ლა ნუგეშობდა; ერთად ერთ მის ნუგეშს შეადგენდა მისი ძვირფასი მეუღლის საფლავზე ტირილი.

მაგრამ დრო ყოველივე მწუხარებას აქარვებს. გაიარა ერთმა წელიწადმა, მეორემ, შემკირდა მ. ივანეს მწუხარება, ნაცვლად ძლიერი მწუხარებისა მ. ივანეს პირის სახეზე გამოიხატა რაღაც ფიქრიანობა და მზრუნველობა. ამ დროს გრიგოლი დაობლდა. ყმაწვილი მთლად უპატრონოდ დარჩა. მ. ივანე, როგორც ერთად-ერთი ნათესავი გრიგოლისა, იძულებული შეიქნა ყმაწვილისთვის ეპატრონებია. მან თავისთან წაიყვანა ყმაწვილი და ამ დღიდან მ. ივანეს ცხოვრება უფრო მზიარულად მიდიოდა. თავდაპირველად მ. ივანეს ძლიერ უჭირდა მშობლების მოვალეობათა აღსრულება, მაგრამ ყოველივე ამაებს მალე მიეჩვია მ. ივანე. ხუთი წლის გრიგოლმა ხელახლად აღძრა მ. ივანეს გულში ნაზი გრძობები, რომელნიც თითქო განქრენ მ. ივანეს გულში მისი საყვარელი მეუღლის გარდაცვალების დღიდან. გრიგოლთან მოდიოდნ პატარა ყმაწვილები და მათთან ერთად ერთობოდა მ. ივანეც. გრიგოლი მ. ივანესთვის თითქო მთელს ოჯახობას შეადგენდა. მ. ივანე დიდის მუყათობით და სიყვარულობით ასრულებდა თავის მრავალ-გვარ მოვალეობათ სამრევლოში, სადაც სამრევლოს ყოველ წევრს დიდის სიყვარულით ექცეოდა, მაგრამ ამავე დროს მას, როგორც ყოველ კაცს, სურდა ქონებოდა საკუთარი კუთხე, სადაც სხვას არ შეეძლებოდა შესვლა; რომ ეს კუთხე მხოლოდ მარტო მისი სამფლობელო ყოფი-

\*) იხ. „მწყემსი“ № 8, 1899 წ.





ლიყო, სადაც მას უნდა ეკრძნო, რომ იგი უყვარსთ, რომ იგი ძვირფასია თავის კუთხისათვის, სადაც მას თავისუფლად შეეძლებოდა ლაპარაკი და სიცილი ასეთი კუთხე მ. ივანესათვის იყო გრიგოლი. როცა მ. ივანე სამრევლოში შეასრულებდა თავის მოვალეობას, მაშინვე შინისკენ გაეშურებოდა, რომ დაენახა თავისი საყვარელი გრიგოლი, მისი ხმა გაეგონა და ხელში აეყვანა მის შესახვედრად გამოსული ყმაწვილი, რომელიც, აიყვანდა თუ არა მას მ. ივანე, თვითონაც ხელს მოხვევდა მ. ივანეს კისერზე და ასე შევიდოდნენ სახლში. რაც ხანი გადიოდა, მ. ივანეს და გრიგოლს შორის დამოკიდებულება თანდათან ძლიერდებოდა. გრიგოლი ათი წლისა იყო, მაგრამ მან გაცილებით უფრო ბევრი იცოდა, ვინემ იმისი ხნის ყმაწვილებმა. გრიგოლი იყო მეტად მგრძობიარე და სუსტი ნერვიანი; ასეთი შეიქმნა გრიგოლი იმის გამო, რომ მ. ივანეს გაგიჟებით უყვარდა ყმაწვილი და დაფეთებული იყო მასზე. მ. ივანე, იყო ბუნებით სისხლ მჭარბი (сангвиный) და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ უფრო კიდევ მგრძობიარე შეიქნა. მ. ივანემ ჯვარი დაიწერა ერთი თვის შემდეგ სემინარიაში კურსის დამთავრებისა, რადგან ძლიერ გაიტაცა განსვენებული მეუღლის სიყვარულმა. ასე სიყვარულით და გაგიჟებით ჯვრის წერამ, რომელიც საუბედუროდ გათავდა, მთლად სულიანხორციანად შეარყია მ. ივანე. ცხოვრებამ მ. ივანეს თვალში დაკარგა ყოველივე სიმშენიერე. მ. ივანეს ძალღონე მოიკვეთა. მაგრამ რაც გრიგოლი დაბინავდა მ. ივანეს სახლში, ეს უკანასკნელი თითქო გამოიკვალა, მასში ხელახლად აღიძრა უწინდელი მომქმედი ძალა. მ. ივანეს გრიგოლი უსაზღვროდ უყვარდა, როგორც ერთად-ერთი არსება, რომელმაც განაახლა მისი სიცოცხლე. მაგრამ მ. ივანეს ასეთი სიყვარულს არ უზარალებია გრიგოლისთვის შეიძლება იმიტომ, რომ მ. ივანეს გრიგოლთან დამოკიდებულებაში არ სუფევდა სხვა-და-სხვა ფერობა, რომელსაც ხშირად ვამჩნევთ თვით ფრიად მოსიყვარულე მშობლებ შორის; შეიძლება ეს იმის გამოც მოხდა, რომ მ. ივანე გრიგოლის აღზრდის საქმეში მუდამ ერთ გზას ადგა. იგი ცდილობდა, რომ ყმაწვილს შეეგნო ყოველივე ჭეშმარიტება ძალ-დაუტანებლად, მოფერებით, ნამდვილი საბუთებით და გამოცდილებითაც, თუ კი ეს უკანასკნელი შესაძლებელი იყო ხოლმე. დადგა ის ღროცა, როცა გრი-

გოლი სასწავლებელში უნდა მიეცათ. მ. ივანეს ძლიერ ცოტა შეძლება ჰქონდა, ეს შეძლება ძლიეს-და ჰყოფნიდა სარჩოდ მ. ივანეს და გრიგოლს. მ. ივანეს ასე ცოტა შეძლების მიზეზი ის იყო, რომ იგი არ იყო ფულის ხარბი; მ. ივანეს სინდისი ნებას არ აძლევდა, რომ მიცვალებულებზე წესის და სხვა ამ გვარი მღვდელ-მოქმედებისათვის საშრომი აეღო; ისეთ შემთხვევებშიც კი, სადაც შეიძლებოდა საშრომი ფულის მოთხოვნა, იქაც მ. ივანე იმაზე მეტს არაფის თხოვდა, რასაც თვითონ საწყალი გლეხი არ მიცემდა. მ. ივანეს მღვდელობის უკანასკნელ დროს. ისეთი სამწუხარო შემთხვევები გამოიწვია სამღვდელოთა შორის სხვა-და-სხვა წესების შესრულებისათვის საშრომი ფულების მოთხოვამ, რომ მ. ივანე ყოველთვის ფრთხილად იყო, რომ იგიც თანამოზიარე არ გამხდარიყო ამ სამწუხარო და ტალახიან საქმეებში. რასაკვირველია, ასეთი მოქმედებით მ. ივანე დიდ საშუალებას ვერ შეიძენდა და ამიტომაც მოხდა, რომ მ. ივანეს საძნელოდ დაუტრია გრიგოლის სასწავლებელში მიცემა თავის სიღარიბისა გამო. გრიგოლი იყო სასულიერო წოდების პირთა ობოლი და ამიტომ იგი სახელმწიფო ხარჯზე უნდა მიეღოთ. მ. ივანემ გადასწყვიტა ესარგებლა ამ უფლებით. ამ საქმეში მ. ივანეს დახმარება გაუწია ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა, რომელიც ნაცნობი იყო მ. ივანესი და გრიგოლი მიიღეს სასულიერო სასწავლებელში. მ. ივანე მაინც და მაინც დიდი მოხარული არ იყო, რომ გრიგოლი სასულიერო სასწავლებელში მისცა; მას სურდა სხვა გზაზე დაეყენებია ყმაწვილი და არა იმ გზაზე, რომელიც შემდეგში ისეთივე საძნელო იქნებოდა მისი ძმისწულისათვის, როგორც თვით მ. ივანესათვის იყო მის მიერ ამორჩეული სამსახური.


სასწავლებლის სასოგადო ბინაზე ცხოვრება სამძიმოდ დაუტრია გრიგოლს. ამხანაგების საზოგადოება მრავალ ფეროვანი იყო, და მასთან ამხანაგებში ძლიერ ცოტანი იყვნენ ისეთები, რომლებთანაც გრიგოლს შეძლებოდა ერთობა. უმეტეს ნაწილს ამხანაგებისას ძლიერ ცუდი შინაური განათლება ჰქონდა მიღებული და მასთან მრავლად იყვნენ მათში უზრდელნი და ურიგოდ აღზრდილნი. ასეთ ამხანაგებისაგან ხშირად ხვდებოდა გრიგოლს წყენა. გრიგოლს პირველად ძლიერ აკვირვებდა და აწუხებდა მისი ამხანაგების უზრდელობა; მაგრამ შემ-





დევში, ვინაიდან ამ კითხვის განმარტება თვითონ ვერ შეიძლო, იგი დარწმუნდა, რომ მის ამხანაგებთან ზრდილობით მოპყრობა არ შეიძლებოდა, ამიტომ იწყო მარტოობა, მედიდურობა, ერთდებოდა ურიგო ამხანაგებთან ერთობას. ვინაიდან უმეტესობა ამხანაგებისა ასეთები იყვნენ, გრიგოლი მომეტებულად დაუახლოვდა იმ მკირე რიცხვს მისი ამხანაგებისას, რომელნიც მისი აზრით უფრო ზრდილობიანი იყვნენ.

შეიძლება ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ გრიგოლი იმავე მიმართულების დარჩა, რა მიმართულებაც დაბადა მის სულისა და გულში მ. ივანემ. გრიგოლმა ძლიერ კარგ მოწაფედ დაასრულა სწავლა სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში და ამიტომ იგი სასულიერო სემინარიაშიაც სახელმწიფო ხარჯით მიიღეს. ეს სემინარია ერთად-ერთი იყო მთელს გუბერნიაში და ამიტომ ყველა ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლიდან აქ მოდიოდნენ მოწაფეები. სემინარიაშიაც გრიგოლი სულ სხვა გვარად იჭერდა თავს. სხვა-და-სხვა ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებიდან მოსულ მოწაფეებს სულ სხვა-და-სხვა ზნე-ჩვეულება შემოქონდათ სემინარიაში აქ მოწაფეები ეცნობოდნენ ერთი-ერთმანეთს, თვალ-ყურს ადევნებდნენ თავიანთი ახალი ამხანაგების საქციელს. მაგრამ პირველად თითოეული სასწავლებლის მოწაფენი უფრო ერთი-ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და სხვებთან ერთობას ერთდებოდნენ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა სულ ერთ თვეს. შემდეგ თან-და-თან იწყეს სემინარიის მოწაფეებმა ერთმანეთის გაცნობა. ბოლოს ისე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რომ იგინი ხშირად ერთმანეთ შორის კამათობდნენ. პირველად მოწაფეების საზოგადო საკამათო საგანს შეადგენდა მათი ოთხ-კლასიანი სასწავლებლები. თითოეული აქებდა თავის ოთხ-კლასიან სასწავლებელს. კამათობდნენ, თუ ვისი სასწავლებელი უკეთესია, სად უფრო ვითარდებიან მოწაფეები, და სად უფრო კეთილ-შობილურს აღზრდას ითვისებენო. ასეთი საკამათო კითხვების წყალობით სხვა-და-სხვა სასულიერო სასწავლებლებიდან მოსული მოწაფეები ისე უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, რომ შემდეგში ასეთ კითხვებს მათში აღგილი აღარ ჰქონდა. თუმცა სემინარია სასულიერო სასწავლებელი იყო, მაგრამ აქაც გრიგოლმა შენიშნა ბევრი სხვა-და-სხვა მიმართულების ამხანაგები. სემინარიის მოწაფეებში ბევრი იყვნენ ისეთები, რომელთაც, მაინცა და მაინც დიდად არ იტაცებდა სემინარიის საგნები, ისინი ამავე დროს დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმასაც, თუ რა ხდებოდა მათ სასწავლებლის გარეშე, თვალ-ყურს ადევნებდნენ ჟურნალ-გაზეთებს და მათში აღძრულ კითხვების ასეთ თუ ისე გადაწყვეტას. ბევრ მოწაფეს უკვე გამოჩვევეული ჰქონდა თავისი მომავალი ცხოვრების მიზანი და მისწრაფებანი და ასეთი მოწაფეები ცდილობდნენ, რომ სხვებიც თავის მხარეზე გადაეყვანათ. სემინარიამ და საღვთისმეტყველო საგნებმა დიდი ზედმოქმედება იქონიეს გრიგოლზე. ამ გარემოებას ხელი შეუწყო იმ მოვლენამ, რომ გრიგოლი პატარაობიდან სულ სხვა რიგად იყო აღზრდილი.



## ახალი ამბები და შენიშვნები.

ამ წელს ოქტომბრის სემინარიაში კურსი დასრულდა ორმა ქართველმა: მიხეილ ბერძულიშვილმა—ზირველ ხარისხით და ანდრია როგავამ—შეორეთი

მ. ბერძულიშვილს (სოფ. სიმონეთიდან, ქუთაისის მაზრიდან—ზირიქტნიკის შვილს) ნიჭი ხელს უწყობს, და სურს კიდევ გააგრძელოს სწავლა უნივერსიტეტში, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი სიღარიბე გზას არ აძლევს.

დაიბეჭდა ახალი წიგნი: „ქართული კალაბა ქართულ-კახური კილოთი) ლიტურჯია. ამ წიგნში, რომელიც შეიცავს 55 გვერდს, მთავსეულია წმ. იოანე ბქრძინის წიგნის წესი. ეს კალაბა ნოტებსზედ გადაღებულია მ. მ. ანბალიტოვ-ივანოვის მიერ ქართული კალაბის მტდნე მდგდელთ ნ. და გ. კარბელაშვილთა, ა. მოლდინაშვილის და გ. მღებრიშვილის დახმარებით. წიგნი გამოცემულია უოფლად სამდგდელთ ალექსანდრე გურია-სამეგრეელთ ეპისკოპოსის ხარჯით; თასი წიგნის მხლად ორი აბახია.

იმედია ქართველი საზოგადოება, რომელიც მათმენდად მოელოდა ამ წიგნის გამოცემას, ხელს შეუწყობს მის გავრცელებას. წიგნი ისეიდება უოფლად სამდგდელთ ლეონიდის სხლში, სიონის ეზოში.





ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა ქრისტეფორე უგრელიძემ, რომელიც დათხოვნილ იქმნა ხსენებული სასწავლებლიდან, თბილისში თავი მოიკლა. გარდაცვალებულს არაფერი ქონება არ დარჩენია.

იმერეთის ეპარქიის გაბრიელის ქალების სასწავლებელში ინსპექტორობის თანამდებობაზე დაინიშნა ექსარხოვისაგან ქუთაისის სემინარიის მასწავლებელი ბ. დობროლოვსკი და ი. თ. სანებლიძე უკვე დათხოვნილია, როგორც ინსპექტორობის თანამდებობიდან, ისე სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობის და იმერეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების საბჭოს საქმისმწარმოებლის თანამდებობათაგან. სასულიერო სასწავლებლიდან დათხოვნილი არიან მასწავლებელნი ნიკ. მღრბაძე, ზედამხედველი ამ სასწავლებლისა იაროსლავი, ინსპექტორი ი. გაფრინდაშვილი, რომელიც მასწავლებლობის თანამდებობაზეა ჩამოყვანილი, და ნადზირატლები — ვ. ჯაფარიძე და გ. თუთბერიძე და აგრეთვე მ. ფხაკაძე, რომელსაც ეძღვევა ნება ითხოვოს რვა გაკვეთილი წერის მასწავლებლობისა და სასწავლებლის სამმართველოში მწერლობისა.

ამ წელში ისეთი გაცხარებული შავი ქვის მუშაობა არის ქიათურაში, რომლის მსგავსი არ ყოფილა აქნობამდე. მაგრამ ნამეტნავად შეწუხებულნი არიან მუშები ნამეტანი გოლებისა გამო.

ხალხის ჯანმრთელობა შორაპნის მაზრაში ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია და მიუცილებლად საჭიროა, რომ აქა-იქ ქსენონები გახსნას მართებლობამ. ხალხს სიღარიბისა გამო არც ექიმის მიწოდება შეუძლია და არც წამლის ყიდვის შეძლება აქვს და ხშირად უბრალო წამლის უმექონებლობით ოჯახი იღუპება.

როგორც ხმები იხმის, ქუთ. სასულ. სასწავლებლის ზედამხედველად ინიშნება ქ. სემინარიის რუსული ენის მასწავლებელი ბ. როდესტვენსკი.

სიღნაღის მაზრის მეორე საბლადოხინო ოლქის სამდგდელობამ ხალხში სარწმუნოების განსამტკიცებლად სასარგებლოდ სცნა, რომ 1) კვირა-უქმე დღეებში სოფლებში წირვის გამოსვლამდე უუკლა ღუქნები დაიხურას, ხოლო სასოფლო ყრილობა და საქმის გაჩეკვა სოფლის სასამართლოებში აიკრძალოს. 2) სხვა-დასხვა სასოფლო თანამდებობაზედ კლექების არჩევის დროს ადგილობრივის ადმინისტრაციის მხედველობა უურადდება მაქციონ ასეთ თანამდებობაზედ ასარჩევ კაცთა ზნეობასა და უოფაქტევისა და აგრეთვე იმასაც, ზიარებულან ხოლმე თუ არა ეს კაცები დიდ მარხვასი. ასეთი ზომები ხალხში სარწმუნოების განსამტკიცებლად საქართველოს ექსარხოვის ოფიად სასარგებლოდ და დიდ აღმზრდელ მნიშვნელობის მქონედ სცნა და ამის გამო სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, რომ ზემო აღნიშნული ზომები მიდებულ იქმნას მთელს ტფილისის გუბერნიასი.

რედაქციის ზასუხი.

ბ. ჩარგ—შვილს. მდგდელობა რომ სწიროს და არ ეზიაროს, თუგინდ იგი ბლადოხინი იყოს, ჩვენ ეს არ გვესმის, ამისთანა საქციელი უკანონო და გასაკიცხია.

ბლადოხინს არა აქვს მინიჭებული უფლება, რომ მედავითნე დაითხოვოს უკვისკოპოსოდ. დვდეღს შეეძლოა განიხიროს საჩივრით დაითხოვოს ბლადოხინი. უჩივდეღად ან მარტო ერთი საჩივრით გამოუძიებლად არ შეეძლია, დაითხოვოს იგი...





მლ. ქრ. ც—ს. თქვენი გამოგზავნილი სტატია მედავინებების ს. მსახურის შესახებ არ დაიბეჭდება, რადგან „მწყემსის“ 9—10 №-ში უკვე დაბეჭდილია ამ გვარი სტატია. თქვენ რომ თვალი გადაგვევლოთ ქურნალისათვის, ტყუილა არ იზრამებდით ამ სტატის თარგმნით.

მედავით. პირ—ძეს. ძლიერ ვსწუხვართ, რომ ერთი რეიანი ნეკროლოგი ვერ მივიღეთ განსვენებულ დეკ. ი ვაწაძეზე. თქვენი სტატის მაგიერ იბეჭდება სიტყვა მდ. გ. ძიმისტარაშვილისა, რომელიც ცოტა ცნობებს მაინც გადმოგვცემს განსვენებულის სამსახურზე.

მლ. რომ. მეგ—ძეს. ქურნალი იგზავნება სუქსაში კალ. ხომერიკის სახელზე თქვენზე გადმოსაცემათ და უოველთვის იგზავნება უკლისად. მოსთხოვეთ სადგურის უმფროსს.

ნიკ. ვიორჩიძეს. კიდეც ივარჯიშეთ ჯერეთ ლექსების წერაში და შემდეგ გამოგზავნეთ. ლექსების გასწორება ძლიერ საძნელო საქმეა რედაქციისთვის!..

მ. ვ. დანელიას. თქვენი წერილს დაბეჭდვა არ მიგვჩნია შესაძლებლად, რადგან იმ გვარად ფუღლებს შეგრება არსად არ არსებობს. ვის აქვს უფლება, რომ გადას ხადი გაწეროს სამღვედლოებაზე მათდა შეეტკობლადა?

**ამრო საავათყოფო ავაულატორით  
ს. ბ. თოფუკიასი.  
ქ. ქუთაისში.**

საავათყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათყოფათათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

**შინაგან და ნერვებით ავათყოფებს მიიღებს  
მ. ს. ბ. თოფუკია.**

ხირირგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავათყოფობისათვის.

**მ. ფ. კ. გერაკტი.**

**დედაცყურ ავათყოფათა და საბებიო ქალი.  
მ. მ. ფ. კობანი.**

ჩჩევა დარეგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე, აჭრაციის ფასი გარეგებასა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფუკია.

**შ ი ნ ა ა რ ს ი:**

**სალიტერატურა განყოფილება:** სიბრძნე, მისი საჭიროება ზნეობრივ განვითარებისთვის, მისი ხასიათი და მისი განვითარების საშუალებანი.—გლოვა.—იმერეთის ეპარქიის სამღვედლოების დეპუტატების საგანგებო კრება ქ. ქუთაისში მაისის 31 და ივნისის 1 და 2 რიცხვებში.—წერილი რედაქციისადმი სვანეთიდან.—მლ. ბეს. შიოს ძე გორგაძე (ნეკროლოგი).—გზა მღვედლობისაგან.—ახალი ამბები და შენიშვნ.—რედაქციის პასუზი.